

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაჩიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„16“ 01 „ 2015 წელი

ეგზ. № 1

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში აფ 6/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა.....	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	6
დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადება. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	8
აუდიტის დასკვნა	10
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	10
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	10
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით.....	10
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით.....	11
სხვა საგადასახადო აქტივი.....	12
შენობა-ნაგებობები.....	12
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	14
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	14
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	15
სხვა გადასახდელები.....	15
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები.....	16
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	16
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.....	17
ოფისის ხარჯები.....	18
წარმომადგენლობითი ხარჯი	18
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	19
წმინდა ღირებულება	20
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ.....	21
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	21
ტექნიკური უზუსტობები.....	22
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა.....	22
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	24
მცხეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	25
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	46
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	46

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშგებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია.

გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების

გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები ძირითადად მიღებულია, როგორც - სარწმუნო.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შესამოწმებელ პერიოდში,¹ მცხეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი მცხეთა და 70 სოფელი. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 65,0 ათას კაცს.²

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.


მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2012-2013 წლებში

¹ 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი მცხეთის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტი.

² www.lsg.ge


მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა სულ 34 118,9 ათასი ლარი შეადგინა. შემოსულობებიდან 15 232,8 ათასი ლარი (45%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს. მათ შორის, 600,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერია, ხოლო 13 798,6 ათასი ლარი - ფონდებიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი. რაც შეეხება გათანაბრებით ტრანსფერს, 2012 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო 834,2 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტს ტრანსფერის ეს სახე არ მიუღია.

დიაგრამა 1: 2012 - 2013 წლების შემოსავლები დიაგრამა 2: 2012-2013 წლების ტრანსფერები
(ათასი ლარი)



2012-2013 წლების ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 36 997,7 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 21 686,4 ათას ლარს (59%) შეადგენს ხარჯები, 14 963,5 ათასი ლარი (40 %) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 347,8 ათასი ლარი (1%) - ვალდებულებების კლებას.

დიაგრამა 1: 2012-2013 წლების ხარჯების კლასიფიკაცია (ათასი ლარი)



2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- სპეცტექნიკის შეძენა;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.

დასკვნის გაცემაზე უარის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების³ შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშების გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში,

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

არსებული მდგომარეობა: 2012 წლის 6 დეკემბერს, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტში ამოღებულია მის მიერ ნაწარმოები სრული ფინანსური, იურიდიული და ტენდერებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. კერძოდ:

1. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურიდან - 32 ბაინდერი;
2. ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და საინფორმაციო განყოფილებიდან - 20 ბაინდერი;
3. ეკონომიკის, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურიდან - 27 ბაინდერი;
4. საფინანსო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებიდან - 2 ბაინდერი და მასალები - 462 ტომი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2012 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი არ ადგენდა პერიოდულ ფინანსურ ანგარიშგებას⁴, ხოლო ობიექტის წლიური ბალანსისა და ბალანსის დანართი ფორმების შევსება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით ვერ მოხერხდა, საფინანსო დოკუმენტაციის ამოღების მიზეზით.

გავლენა

- საანგარიშო პერიოდში პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შედგენილა, ხოლო სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების შეფასება შეუძლებელია, საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოღების გამო.
- მასშტაბის შეზღუდვის მიზეზით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ზოგადად საბუღალტრო გატარებების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

⁴ დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების 3¹ პუნქტის მოთხოვნები.

აუდიტის დასკვნა

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების არარსებობისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო დოკუმენტაციის ამოღების გამო, მასშტაბის შეზღუდვის გავლენა აუდიტზე იმდენად არსებითი და ყოვლისმომცველია, რომ აუდიტის ჯგუფმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ობიექტზე ვერ მოიპოვა, რის გამოც გამოთქვამს მოსაზრებას - „უარი დასკვნის გაცემაზე“.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები

გარემოება: „საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტების“ მუხლში მუნიციპალიტეტს გატარებული აქვს მგფ-იდან მიღებული სესხის სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტის ჯამური თანხა 932,0 ათასი ლარი, რაც არასწორია. აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება ორგანიზაციისათვის საბიუჯეტო სესხებიდან მისაღები პროცენტები, ანუ აქტივი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტების“ მუხლი გაზრდილია 932,0 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს ბალანსის სიზუსტეზე.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს ერიცხება წინა წლების საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 8,2 ათასი ლარი, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, შემცირებულია 8,2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: 2014 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 56,6 ათასი ლარი.

აღნიშნული მონაცემები მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შემცირებულია 56,6 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: პირად საგადასახადო ბარათზე⁵ მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერიცხება საგადასახადო ზედმეტობა 14,7 ათასი ლარის ოდენობით (ძირითადად საშემოსავლო გადასახადი). აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

გავლენა:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „სხვა საგადასახადო აქტივის“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 14,7 ათასი ლარით.

შენობა-ნაგებობები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი წარმოდგენილია 112 626,8 ათასი ლარით. აქედან ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 114 178,6 ათას ლარს, შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება - 2 600,8 ათას ლარს, სხვა მიღებები - 307,2 ათას ლარს, ხოლო გასვლები - 4 459,8 ათას ლარს.

შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივად შეადგენს არა 2 600,8 ათას ლარს, არამედ 2 817,2 ათას ლარს⁶. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ შევსებული არაფინანსური აქტივების ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „შენობა-ნაგებობების“ მუხლით გატარებულია 2 254,5 ათასი ლარის შესყიდვით მიღებული არაფინანსური აქტივები. გარდა ამისა, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით არასწორად აღრიცხულია 169,9 ათასი ლარის დანახარჯი⁷, რომელიც „ძირითად აქტივებს“, კერძოდ, „შენობა-ნაგებობებს“ წარმოადგენს. „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით ასევე შესყიდულია 9,8 ათასი ლარის⁸, ხოლო „სხვა ხარჯების“

⁵ rs.ge

⁶ 2 817,2=2 254,5+169,9+9,8+172,9+210,1

⁷ ხელშეკრულებები №№24/ს, 46, 56, 58, 92, 131/გ, 175.

⁸ ხელშეკრულებები №№9/კ, 17, 31, 119.

მუხლით - 172,9 ათასი ლარის⁹ საერთო ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/ პროექტირების მომსახურება, რომელიც „შენობა-ნაგებობებს“ მიეკუთვნება. მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის სესხის ფარგლებში, ძირითად აქტივებზე არაა დამატებული სესხით სარგებლობის (პროცენტი) თანხა - 210,1 ათასი ლარი, რომლის კაპიტალიზაციაც უნდა მომხდარიყო გადახდისთანავე¹⁰.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 216,4 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 179,7 ათასი ლარით¹¹ გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“, ხოლო 172,9 ათასი ლარით - „სხვა ხარჯების“ მუხლები, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არაზუსტად გატარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

⁹ ხელშეკრულებები №№ 6/კ, 8/კ, 11/კ, 12/კ, 13/კ, 14/კ, 16/კ, 17/კ, 18/კ, 19/კ, 20/კ, 21/კ, 22/კ, 23/კ, 24/კ, 25/კ, 27/კ, 28/კ, 29/კ, 30/კ, 32/კ.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტები 8, 9.

¹¹ 179,7=169,9+9,8

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების მუხლში - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, ასახულია 1733,1 ათასი ლარი. აქედან, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 1 622,7 ათას ლარს, მიღებები - 56,3 ათასი ლარი, გასვლა - 295,9 ლარი, ხოლო შესყიდულია 407,4 ათასი ლარის აქტივები, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული გატარებების ჩაშლილ ფორმებს. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად, „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით ფაქტობრივად გატარებულია 396,1 ათასი ლარის არაფინანსური აქტივები.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ გაზრდილია 11,3 ათასი ლარით.
- არაზუსტად გატარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი წლის ბოლოსათვის წარმოდგენილია 8 186,3 ათასი ლარით. აქედან, ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 5 522,6 ათას ლარს, შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება - 3167,5 ათას ლარს, ხოლო გასვლები - 503,8 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული გატარებების (არაფინანსური აქტივები) ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ შესყიდვის მუხლით გატარებულია 3041,9 ათასი ლარი, ნაცვლად 3167,5 ათასი ლარისა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 125,6 ათასი ლარით.

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება : მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 163,5 ათასი ლარის ღირებულების მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები. ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, ვალდებულება წარმოქმნილია არა მომსახურების, არამედ არაფინანსური აქტივების მოწოდებით და უნდა აღრიცხულიყო შესაბამისი მუხლით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი გაზრდილია 163,5 ათასი ლარით; იმავე თანხით შემცირებულია „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი.

სხვა გადასახდელები

გარემოება: პირად საგადასახადო ბარათზე¹² მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერიცხება 14,7 ათასი ლარის გადასახდელი თანხა

¹² rs.ge

(ძირითადად სოციალური გადასახადი). საგადასახადო ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „სხვა გადასახდელების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 14,7 ათასი ლარით.

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, წინასწარ გადახდილმა საიჯარო ქირამ მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან 0,3 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი წინასწარ გადახდილ თანხას ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს¹³.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არ არის ასახული მუხლი „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“, თანხით 0,3 ათასი ლარი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: საბალანსო ანგარიშზე - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“, აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება¹⁴.

2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დარჩენილი გადასახდელი თანხა სულ 2 303,4 ათასი ლარია. აღნიშნული ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

¹³საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 44.

¹⁴საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 43-44.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) - „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 2 303,4 ათასი ლარით.

ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოება: საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 45,7 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონელი¹⁵ (ძირითადად, საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკა-ინვენტარი), რომელიც უნდა გატარებულიყო „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში, როგორც 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი¹⁶. აქტივები ექვემდებარებოდა ხარჯებში ჩამოწერას და შესაბამის საცნობარო მუხლში ასახვას.

ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საცნობარო მუხლის ცვლილება ნაჩვენები არ არის. ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლის მოძრაობა არ ფიქსირდება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საცნობარო, ასევე ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის

¹⁵ ხელშეკრულებები № 21/გ, 23/გ, 40/გ, 33/გ, 22, 20, 26, 25/გ, 19, 24, 37/გ, 28, 58/გ, 38, 63, 155/გ, 197/გ, 201/გ, 204/გ, 203/გ, 202/გ, 102/გ, 44,98/გ, 63/ს, 22/ს, 69/ს, 14.01.13, 01.11.13, 07.10.13, 31.10.13, 07.10.13, 20.10.13.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ღ“.

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლები არასწორია.

ოფისის ხარჯები

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ოფისის“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლი 577,4 ათასი ლარია.

„ოფისის ხარჯები“ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივად შეადგენს არა 577,4 ათას ლარს, არამედ 1 306,3 ათას ლარს¹⁷. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ შევსებული ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „ოფისის ხარჯების“ მუხლით გატარებული უნდა იყოს 573,2 ათასი ლარი. დანარჩენი თანხებიდან 4,2 ათასი ლარი უნდა აღრიცხულიყო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში¹⁸. გარდა ამისა, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გატარებულია 733,1 ათასი ლარის შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები¹⁹, რომელიც ექვემდებარებოდა „ოფისის“ მუხლით გატარებას.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 728,9 ათასი ლარით²⁰ შემცირებულია „ოფისის“, იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლები.

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება: მუნიციპალიტეტს სტუმრების დელეგაციის სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის თანხა გატარებული აქვს „ტრანსპორტის“ მუხლით, ღირებულებით 0,3

¹⁷ 1 306,3=573,2+733,1

¹⁸ ხელშეკრულებები №№ 3/გ, 5/გ, 6/გ, 60/გ.

¹⁹ ხელშეკრულებები №№ 2, 7, 15/ს, 17/ს, 22/გ, 34/ს, 45/გ, 55, 100/გ, 101/გ, 105/გ, 106/გ, 107/გ, 111/გ, 134/გ, 189/გ.

²⁰ 728,9=1 306,3-577,4

ათასი ლარი²¹. საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, დანახარჯი ექვემდებარებოდა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით აღრიცხვას.

გავლენა:

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 0,3 ათასი ლარით. იმავე თანხით გაზრდილია „ტრანსპორტის“ მუხლი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება №1: ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლი 2 566,5 ათასი ლარია.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის ღირებულება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივად შეადგენს 674,4 ათას ლარს²². კერძოდ:

მუნიციპალიტეტის მიერ შევსებული ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით, ნაცვლად 2 566,5 ათასი ლარისა, გატარებული უნდა იყოს 670,2 ათასი ლარი. დანარჩენი თანხებიდან 179,7 ათასი ლარი უნდა აღრიცხულიყო „შენობა-ნაგებობების“, 733,1 ათასი ლარი - „ოფისის“, 3,2 ათასი ლარი - „სოციალური დახმარების“²³, 0,8 ათასი ლარი - „წარმომადგენლობითი ხარჯების“²⁴, ხოლო 979,5 ათასი ლარი - „სხვა ხარჯების“²⁵ მუხლებში. გარდა ამისა, „ოფისის“ მუხლით გატარებულია 4,2 ათასი ლარის შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების ხარჯები, რომელიც ექვემდებარებოდა „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით გატარებას.

²¹ ხელშეკრულება № 71/გ.

²² 674,4=670,2+4,2.

²³ ხელშეკრულებები № № 181/გ, 211/გ, 31/12/12.

²⁴ ხელშეკრულება № 90/გ.

²⁵ ხელშეკრულებები № № 44/გ, 45/გ, 46/გ, 55/გ, 56/გ, 84/გ, 85/გ, 94/გ, 96/გ, სხვადასხვა ჯარიმები.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ფაქტობრივი ხარჯის მუხლი გაზრდილია 1 892,1 ათასი ლარით; „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 0,8 ათასი ლარით; „სოციალური დახმარების“ მუხლი შემცირებულია 3,2 ათასი ლარით.

წმინდა ღირებულება

გარემოება №1: 2013 წელს მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა სულ 16 757,8 ათასი ლარი შეადგინა (საკუთარი აქტივების რეალიზაციით მიღებული თანხების გარდა²⁶). მათ შორის, შემოსავლები 16 583,4 ათასი ლარია, ხოლო ბიუჯეტიდან მიღებული სხვა დაფინანსება - 174,4 ათასი ლარი.

ბალანსის დანართ ფორმა №3-ის ანალოგიური მონაცემები არ შეესაბამება შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებს, კერძოდ: შემოსავლებში ნაჩვენებია 7 640,3 ათასი ლარი, ხოლო ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებაში - 9 019,3 ათასი ლარი, რაც ჯამში 16 659,6 ათას ლარს უტოლდება.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ და „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლები ჯამურად შემცირებულია 98,2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ მუხლი 8 943,1 ათასი ლარით ნაკლებია ნაჩვენები. იმავე თანხით გაზრდილია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლი.
- მაჩვენებლების უზუსტობის გამო, „წმინდა ღირებულების“ მუხლის ნაშთი პერიოდის ბოლოს არასწორადაა წარმოდგენილი.

²⁶ 53,5 ათასი ლარი.

გარემოება №2: 2013 წელს აუქციონის ფორმით გასხვისებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა საბალანსო ღირებულებით - 2,0 ათასი ლარი. აქტივის გაყიდვით მიღებულმა თანხამ 0,9 ათასი ლარი შეადგინა. მოგება/ზარალი ფლობიდან (8100) ანგარიშის დებეტში არ გატარებულა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობით მიღებული დანაკლისი თანხა 1,1 ათასი ლარი²⁷.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში (დებეტი) არ არის ასახული 1,1 ათასი ლარი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

გარემოება: 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული აქვს გრანტი 121,3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის მოძრაობა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

გავლენა

- ბალანსის დანართი ფორმა №4-1 – „ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ“, შეუვსებელია და არ იძლევა ინფორმაციას გრანტის მიღებისა და ხარჯვის შესახებ.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ არაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის დანართი - ფორმა №6. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გაურკვეველია მონაცემი აქტივების რაოდენობის, ტექნიკა-ინვენტარის შეკეთების, ასევე ტრანსპორტზე გახარჯული საწვავისა და სათადარიგო ნაწილების შესახებ.

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 23, პუნქტი 3.

გავლენა

- ბალანსის დანართი ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, არ იძლევა მოქმედი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მონაცემების ანალიზის საშუალებას.

